**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო**

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

12 ივნისი 2026

N 21/8326

**ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას**

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 4 ივნისს შპს „ნოვამ“ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის **(პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი)** ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ განცხადება. განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე: https://ei.gov.ge/. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/c7ff74ab-2f54-4df2-a148-77ce96c87a8f .

ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარმოადგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2026 წლის 10 ივლისის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნების/მოსაზრებების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, ვალდებულია უზრუნველყოს კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გიგზავნით შპს „ნოვას“ ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ განცხადებას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

*დანართი: 13 (ცამეტი) ფაილი*

პატივისცემით,

არჩილ ადამია

სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/8326-21-2-202606121845